

**სივრცის იდეოლოგიზება ქართულ მწერლობაში:
„ჩრდილოეთის ქვეყნის“ რელიგიური და ნაციონალური
კონტექსტები¹**

საკვანძო სიტყვები: „ჩრდილოეთის ქვეყანა“, ავტო- და ჰეტეროხატი, იდეოლოგიზება, „ქართლის ცხოვრება“, მე-19 საუკუნის ქართული პოეზია

შესავალი

ლიტერატურაში, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების მაფორმირებელ მედიაში, თანადროული სოციო-კულტურული და პოლიტიკური ვითარება აისახება არა მიუკერძოებლად, არამედ – კონკრეტული პოზიციიდან.² ამ თვალსაზრისით, საკუთარი თავისა და სხვის³ შესახებ შექმნილი ლიტერატურული ხატები/იმიჯები არის არა ობიექტური რეალობა, არამედ – იდეოლოგიზებული წარმოდგენები. მათი ქცევა ნაციონალურ სტერეოტიპებად გამოყენების სიხშირესა და კონვენციურ სემანტიკაზეა დამოკიდებული. საამისოდ ლიტერატურაში პერმანენტულად აქტუალურდება რომელიმე მხატვრული სახე/ასპექტი, რომელიც შემდეგ ფასეულობითი ორიენტირის ფუნქციას ასრულებს.⁴ ამდენად, ის განსაკუთრებულ როლს თამაშობს

1 სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ინდივიდუალური პროექტის – „სივრცის იმაგოლოგია ქართულ ლიტერატურაში“ – ფარგლებში (YS15_1.2.6.2_103).

2 ლიტერატურისა და გარესინამდვილის ურთიერთმიმართების საკითხის კვლევისას ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძვლად გათვალისწინებულია პ. რიკიორის სამსაფეხურიანი მოდელი (დეტალურად იხ. Ricoeur 1988).

3 სტატიაში ტოლფარდ ცნებებადაა გამოყენებული ბინარული ოპოზიციები: ლიტერატურული წარმოდგენები საკუთარი თავისა და სხვის შესახებ და ავტო- და ჰეტეროხატები.

4 აღნიშნული კომპლექსური საკითხი სპეციალური შესწავლის საგანია იმაგოლოგიისთვის, რომელიც ლიტერატურას კულტურულ წარმოდგენათა რეპრეზენტაციის მთავარ ფორმად განიხილავს (Beller and Leerssen 2007). გარესინამდვილესთან

კოლექტიური/ნაციონალური იდენტობის ფორმირებისა და რღვევის ეპოქებში.

მონარქიული საქართველოს ისტორიაში ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ორი ეპოქა: მე-4 საუკუნე, როდესაც ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და მე-19 საუკუნე, როდესაც რუსეთის იმპერიამ ქართლის სამეფოს ანექსია მოახდინა.⁵ აღნიშნული პერიოდების (გაქრისტიანებისა და კოლონიზების ეპოქების) ლიტერატურული ნაწარმოებები უშუალოდ საზოგადოებრივი ცნობიერების [რე]ფორმირებისკენაა მიმართული და შესაბამისად, იდეოლოგიზებულია; მათში ვერბალურ დონეზე ასახულია ნაციონალური კულტურული წარმოდგენები საკუთარი თავისა და სხვის/უცხოს შესახებ. რაც მთავარია, დასახელებული პერიოდების ლიტერატურულ ტექსტებში გამოყენებულია ერთი და იგივე სივრცითი ლექსიკური ერთეული, რომელსაც ფართო სემანტიკური დიაპაზონი აღმოაჩნდა – ავტოხატიდან ჰეტეროხატამდე.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიაში სპეციალური შესწავლის საგანია სივრცის იდეოლოგიზების საფუძვლები და ვერბალური სტრატეგიები ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად და სოციო-კულტურული კონტექსტებით განსხვავებული, მაგრამ მიზანდასახულობით მსგავსი (ანუ იდეოლოგიზებული) ეპოქების ქართულ ლიტერატურულ ნარატივებში.

ავტოხატი „რდილოეთის ქვეყანა“

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში ნაციონალური იდენტობის მაფორმირებელ უმთავრეს ტექსტურ მედიას წარმოადგენს „ქართლის ცხოვრება“⁶ მის დასაწყისში წარმოდგენილი „მოქცევაი

ლიტერატურის ფარგლებში რეპრეზენტირებული ნაციონალური სტერეოტიპების მიმართებისა და მათი კონვენციური სემანტიკის მდგრადობის საკითხის შესახებ იხ. Neuman 2010.

5 საქართველოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ანექსორი ერთმორწმუნე ქვეყანა აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ნაციონალური იდენტობის მოქმედი მოდელი ძირეულ ტრასფორმირებას საჭიროებდა. ამ საქმეში კი დიდი როლი შეასრულა ქართულმა ლიტერატურამ.

6 „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწავლის ორსაუკუნოვან ისტორიაში გამოითქვა არაერთი თვალსაზრისი როგორც მთელი კრებულის/მისი ცალკეული ნაწილის შინაარსობრივი საკითხებისა და შექმნის მიზნების შესახებ, ისე – ავტორობისა და დათარიღების თაობაზე. ამ უკანასკნელი საკითხის შესახებ ერთ-ერთ უახლეს გამოკვლევას წარმოადგენს სტივენ რაპის მონოგრაფია. მკვლევარი აანალიზებს კრებულის სტრუქტურას, დათარიღების საკითხს და საგანგებოდ ეხება ქართული პოლიტიკურ-კულტურული თვითდადგინების პროცესს ირანული და ბიზანტიული გავლენების კონტექსტში (Rapp 2003).

ქართლისაი;“⁷ რომელშიც ჩართულია ჰაგიოგრაფიული თხზულება „წმინდა ნინოს ცხოვრება“⁸ ნაციონალური სივრცის სახელდების თვალსაზრისით საყურადღებო ტენდენციას ავლენს: ჰაგიოგრაფიულ ტექსტში რამდენიმე მთხრობლის/ნარატორის ვრცელი განმარტებითი კომენტარით ზუსტდება, რატომ ერქვა ქართლს ჩრდილოეთის ქვეყანა.⁹ ამ გზით ყურადღება მახვილდება ნაციონალური ავტოხატის ლიტერატურულ განსახოვნებაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ახლად გაქრისტიანებული საზოგადოების ცნობიერებაზე იდეოლოგიური ზემოქმედების მოხდენის მიზანს ემსახურება.

7 ქართულ სამეცნიერო სივრცეში „მოქცევაი ქართლისაი“ (და მასში წარმოდგენილი „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქცია) დღემდე რჩება ფილოლოგთა, ისტორიკოსთა, წყაროთმცოდნეთა, ხელოვნებათმცოდნეთა, კულტუროლოგთა კვლევის საგნად. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შესწავლის ხანგრძლივ ისტორიაში გამორჩეულია რ. სირაძის წვლილი. ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირებისთვის „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მნიშვნელობა უკანასკნელ ხანს სიღრმისეულადაა შესწავლილი მ. ჩხარტიშვილის მიერ (2018, 70-90). დასახელებული ტექსტის შესწავლის ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იხ. სირაძე 2008-2014. „მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდული რედაქციის უახლესი ინგლისურენოვანი თარგმანი გამოკვლევითურთ შესრულებულია ს. რაპისა და პ. გრეგოს თანაავტორობით. ტექსტის წინასიტყვაობაში ხაზგასმულია „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა ქართული კულტურისთვის, საგანგებოდაა წარმოჩენილი უცნობი ავტორის „უანრობრივად ჰიბრიდული ტექსტის“ (იგულისხმება „მოქცევაი ქართლისაი“ – ც.კ.) დათარიღების საკითხი (Rapp and Crego 2006, 185), მისი მიმართება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციებთან, პარალელური ქართულ-ინგლისური ტექსტის ბოლოს წარმოდგენილ კომენტარებში, „ჩრდილოეთის მთების“ განმარტებისას, სხვა მკვლევართა გვერდით, ავტორები იმოწმებენ კ. კეკელიძის შრომებიდან ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ არამეული ტრადიციით, კავკასია განსაზღვრულია, როგორც „ჩრდილოეთი“ (იქვე, 201). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში, სიტყვა „ჩრდილოეთი“ ლექსიკურ დონეზე პირდაპირ უკავშირდება უმზეობას, ჩრდილს (შდრ. ჩრდილოეთი – ჩრდილის მხარე), სიცივეს; ამდენად, მას ეტიმოლოგიურ დონეზე უკვე აქვს უარყოფითი კონოტაცია (ქართველურ ენებში ჩრდილოეთის/უმზეს/ჩრდილიანის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ცხადაია 1999, 112-113; აგრეთვე, ბედოშვილი 2013, 118).

8 „წმინდა ნინოს ცხოვრების“ პირველი ინგლისურენოვანი თარგმანი შესრულდა 1900 წელს ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგისა და მთარგმნელის, მარჯორი უორდროპის, მიერ. ერთ-ერთი უკანასკნელი თარგმანი კი გამოკვლევითურთ შესრულებულია კონსტანტინე ბ. ლერნერის მიერ 2004 წელს.

9 აღსანიშნავია, რომ „ჩრდილოეთის ქვეყნად“ ქართლის სახელდებას ქართველ ისტორიკოსთა შრომებშიც ექცევა ყურადღება. ამასთან, ისტორიკოსთა პირველი თაობის წარმომადგენლები საკითხს მხოლოდ გეოგრაფიულ ძრილში განიხილავენ, სხვაგვარად, მათთვის ქართლის ჩრდილოეთობა მხოლოდ ე.წ. სამარშრუტო მარკერია (დეტალურად იხ. ჯავახიშვილი 1965, 16; ბერძენიშვილი 1990, 304). თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა/წყაროთმცოდნეთათვის კი აღნიშნული სივრცითი ლექსიკური ერთეული მხოლოდ გეოგრაფიული შინაარსის მატარებელი არაა: შდრ. ქართლის სახელდება „ჩრდილოეთის ქვეყნად“ ეთნო-გეოგრაფიული სივრცის მითოსურ კონტექსტშია განხილული (დეტალურად იხ. პატარიძე 2009, 13, 114-115).

ამგვარი მიზანდასახულობა სრულიად ბუნებრივია, არსებული კულტურულ-რელიგიური კონტექსტის გათვალისწინებით: სახელმწიფო რელიგიის მიღებისას ქართლი იწყებს თვითდადგინების რთულ პროცესს ახალ წესრიგში; ამ პროცესის ვერბალიზება მოითხოვს შესაბამისი (პათოსზე ორიენტირებული) რიტორიკული სტრატეგიების გამოყენებას და მთელი ყურადღების მიმართვას საკუთარი თავის აღქმისაკენ; უფრო კონკრეტულად – აღქმის ძველი მოდელიდან ახალ მოდელზე გადასვლას: აღნიშნულ კონტექსტში ქართლის სამეფო სახელდებულია „ჩრდილოეთის ქვეყნად“¹⁰ ქართლის ჩრდილოეთობა სიმბოლურად ქრისტიანობამდელ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს.¹¹ ამის საჩვენებლად (სივრცითი ლექსიკური ერთეულის მეტაფორული სემანტიკის საილუსტრაციოდ) ტექსტში სხვადასხვა მთხრობელი დასახელებულ მარკერს ურთავს თვისებრივად ერთი ტიპის აღწერით კომენტარს.¹²

როგორც აღინიშნა, „მოქცევაი ქართლისაის“ (და მასში წარმოდგენილი „წმინდა ნინოს ცხოვრების“) მიხედვით, ნაციონალური ავტონატი მარკირებულია სივრცითი ლექსიკური ერთეულით – „ჩრდილოეთის ქვეყნით“¹³ ამგვარად სახელდებენ საქართველოს წმინდა ნინო,

10 ვაზუსტებ: მოცემული სტატიის ფარგლებში „ჩრდილოეთის ქვეყნის“ იდეოლოგიზება გულისხმობს მის სემანტიზებას რელიგიურ და ნაციონალურ კონტექსტებში იმგვარად, რომ სივრცით მარკერში შენარჩუნებულია პირველადი (გეოგრაფიული) სემანტიკა, მაგრამ ხაზგასმულია, აქცენტირებულია მეორეული, სიმბოლურ-მეტაფორული შინაარსი. სივრცითი ლექსიკური ერთეულის ასეთი გაშინაარსება განპირობებულია არა საკუთრივ ესთეტიკური, არამედ რელიგიური და პოლიტიკური კონტექსტებითა და იდეოლოგიური მიზნებით.

11 ტიპოლოგიურად მსგავს შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ მე-8 საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლ „აბოს წამებაში“ ქართველთა საცხოვრისი ტერიტორიის აღნიშვნა სიტყვებით „ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა“ (აბულაძე 1963, 49). ყურეში მყოფობა, ქართულ სამეცნიერო სივრცეში მიღებული შეხედულების თანახმად, ათვლის წერტილად ბიზანტიის იმპერიას უნდა გულისხმობდეს. ამავე მნიშვნელობით არიან ქართველები „შორიელნი ეგე მკვიდრნი“ (იქვე, 55).

12 ქრისტიანულ კულტურაში განმარტება-კომენტარი ტრადიციული რიტორიკული უნარია. შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში ამ უნარის განვითარების ისტორიის, ეტაპებისა და თავისებურებების შესახებ იხ. ბეზარაშვილი 2004; ოთხმეზური 2011; დობორჯგინიძე 2012.

დასაზუსტებელია, რომ „ჩრდილოეთის ქვეყანასთან“ დაკავშირებული კომენტარები, ტრადიციული კოლოფონებისან განსხვავებით, ძირითად ტექსტშივეა წარმოდგენილი და არ არის იზოლირებული. ამ თვალსაზრისით, საქმე გვაქვს ნარატიული კომენტარის იმ მოდელთან, რომელიც ყველაზე ნათლად წარმოაჩენს მთხრობელი ინსტანციის იდეოლოგიურ მიზანდასახულობას (Herman, Jahn and Ryan 2008, 74).

13 „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ ჩრდილოეთის უარყოფითი სიმბოლური სემანტიკა (გეოგრაფიულ მხარეთა ბიბლიური სახისმეტყველების კონტექსტში) განხილულია გ. ალიბეგაშვილის მიერ. ავტორი იმოწმებს მომდევნო პერიოდის ქართულ ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ტექსტებსაც, რომლებშიც „ჩრდილოეთის

სომეხი მიაფორი, ქართლის მეფე მირიანი, ებრაელი მღვდელი აბიათარი და მისი ასული – სიდონია (აბულაძე 1963, 84, 87, 98, 112, 113, 116, 120, 121, 124-124, 147, 157, 161). მათს მონათხრობში საქართველოს აღმნიშვნელად გვხვდება „ქართლიც; თუმცა, ამ ლექსიკურ ერთეულს არასოდეს ახლავს სემანტიკის დამაზუსტებელი კომენტარი. რაც შეეხება „ჩრდილოეთის ქვეყანას“, მას წმინდა ნინო, მისი მოწაფე სიდონია და მეფე მირიანი ახსენებენ ქრისტიანულ სიმბოლურ კონტექსტში, ურთავენ განმარტებას, ერთგვარ კომენტარს, რომელიც გამოკვეთს ლექსიკური ერთეულის მეტაფორულ ხასიათს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ქართლის გაქრისტიანების ამსახველ უმთავრეს ისტორიულ და ლიტერატურულ ნარატივში საჭირო ხდება „ჩრდილოეთის ქვეყნის“ სემანტიკის დაზუსტება, რაც ტექსტში სხვადასხვა ნარატორის მიერ კომენტირების მეთოდის გამოყენებით იკვეთება.

წარმართი მცხეთელების სადღესასწაულო მსვლელობის გახსენებისას წმინდა ნინო აღნიშნავს: „მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ ღმრთისა მიმართ ცთომათა მათთვის **ქუეყანასა ჩრდილოისათა**, დაფარვასა ნათლისასა და დაპყრობასა ბნელისასა“ (აბულაძე 1963, 120). დამოწმებულ ციტატაში „ჩრდილოეთის ქვეყნის“ სულიერი მდგომარეობა – „ცთომა“ (არასწორ გზაზე დგომა/ქრისტეს მადლის გარეშე დარჩენა) – წარმოდგენილია ნათლისა და ბნელის დაპირისპირების რელიგიურ კონტექსტში: წარმართი ერის ხილვისას წმინდა ნინო ღრმად განიცდის/გლოვობს („ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ“) ქართველთა ურწმუნოების გამო (რაც ხატოვნად ნათლის დაფარვად და ბნელში ყოფნადაა ფორმულირებული).

ამავე მნიშვნელობით წარმოადგენს საქართველოს *ჩრდილოეთის ქვეყნად* სიდონიაც, როდესაც მიმართავს ახალმოქცეულ ქართველებს: „**და იყო ქუეყანაი ესე ჩრდილოი, მზისაგან სიმართლისა**, ძისა ღმრთისა მოსვლისათვის და ცნობისა, ვითარცა **სახელი ერქუა სამართლად ჩრდილოი** [...] ეგრეთ იყო ცხორებაი ჩუენი ქართველნო, რამეთუ ვიქცეოდეთ ნათელსა და მკვიდრ ვიყვენით ბნელსა“ (იქვე, 124-125). მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ავტოხატად „ჩრდი-

ქვეყნად“ საქართველო სახელდება „გაქრისტიანების კონტექსტში; ყურადღებას ამახვილებს „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ კიმენურ და მეტაფორასულ რედაქციათა სათაურებზე, რომელთაგან პირველში დასტურდება, მეორეში კი ქრება „ჩრდილოეთის ქვეყანა“; ამასთან, აღნიშნავს, რომ დასახელებულ ლექსიკურ ერთეულს თანდათან ენაცვლება „აღმოსავლეთი“, რომელშიც გათვალისწინებულია ღვთისმშობლის წილხვდომილობის იდეა: „ჩანს, მე-10-მე-11 საუკუნეებიდან, როდესაც იქმნება საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობა, რაც, სულიერი თვალსაზრისით, განსაკუთრებით ნათლადაა აღწერილი „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, და იგი იკავებს მკვიდრ ადგილს ქრისტიანულ კულტურულ სამყაროში, საქართველო უკვე აღმოსავლეთის ქვეყნად მოიხსენიება“ (ალიბეგაშვილი 2014, 65).

ლოეთის ქვეყანა“ ქრისტიანობამდელ (უფრო ზუსტად, წმინდა ნინოს გამოჩენამდელ) რეალობას უკავშირდება. მიმართებითი ხასიათის მქონე ტექსტში ცხადად იკვეთება სივრცითი (გეოგრაფიული) ლექსიკური ერთეულის ქრისტიანული სიმბოლური მნიშვნელობით გაშინაარსების მცდელობა: სიდონიას სიტყვების მიხედვით, ქართლს სამართლიანად „ერქვა“ ჩრდილოეთი, მაგრამ მე-4 საუკუნის ქართველთათვის აღნიშნული ლექსიკური ერთეულის სიმბოლური მნიშვნელობა განმარტებას საჭიროებს. სიდონიას თანამედროვე ქართველთათვის საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიული სახელდება უნდა გაშინაარსდეს რელიგიური თვალსაზრისით. სწორედ ამ თვისებრივად ახალ სემანტიკას აზუსტებს სიდონიას კომენტარი.

მეფე მირიანის ანდერძის მიხედვითაც, ნათლისა და ბნელის დაპირისპირების ქრისტიანულ კონტექსტშია სახელდებალი საქართველო „ჩრდილოეთის ქვეყნად“:

და იყო უამსა მას, რომელსა მოიხსენა უფალმან ქუეყანაი ესე ჩრდილოისაი, დაბნელებული ცოდვითა და სავსე ცთომათა ემმაკისათა, ვიყვენით ჩუენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი [...] და დაგუაობლნა ჩუენ ახლად შობილნი ჩჩვილნი უმეტარნი [...] და ყოველი ნათესავი ჩრდილოისაი აღივსო მწუხარებითა, რამეთუ აღმო-ოდენ-სრულ იყო მზეი სიმართლისაი და მო-ოდენ-ფენილ იყო ჭემმარიტი. და დაფარა ღრუბელმან წმიდაი ნინო (იქვე, 157, 161).¹⁴

პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის ანდერძში ნათლად ჩანს, რომ საქართველო „ჩრდილოეთის ქვეყნად“ სახელდებალია წმინდა ნინოს მოსვლამდე ცოდვით დაბნელებისა და წმინდა ნინოს გარდაცვალებით მადლის მოკლების კონტექსტში.¹⁵

14 ამავე ანდერძის ბოლოს მეფე მირიანი მიმართავს თავის ძეს, ტახტის მემკვიდრე რეცს და საქართველოს ქართლად სახელდება: „აჰა, ესერა შეიცვალა ბნელი ჩუენი ნათლად და სიკუდილი ჩუენი ცხორებად. აწ სადაცა ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ვნებასა იგი ქართლისანი მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინც მათ ეგლოვდის“ (იქვე, 162).

15 „მოქცევაი ქართლისაის“ სხვა მონაკვეთებში საქართველო „ჩრდილოეთად“ / „ჩრდილოეთის ქვეყნად“ სახელდებალია სემანტიკის დამაზუსტებელი კომენტარის/ნათლისა და ბნელის ოპოზიციის კონტექსტის ხაზგასმის გარეშეც: „ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოისათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა (აბულაძე 1963, 84); და მეოთხესა წელსა იწყო თქუმად ქრისტე ღმერთი და შჯულო: „და [მე ვქ]ოვე ცთომასა შინა ჩრდილოისა ესე ქუეყანაი“ [იქვე]; შენ თანა არს [მთავარეპისკოპოსი მიმართავს მირიან მეფეს – ც.კამქას] ქალაქსა შინა სამოს[ე]ლი ქრისტესი ყოლად ზეგარდ[ა]მო ქსოვილი, რომელი ჯუარის მცუმელთა მათ განიყვეს, და კუართი იგი ამათ იხუედრეს, ჩრდილოსა ამქას ქალაქსა შინა დაფარეს“ (იქვე, 87); „და მიხუდა სამოს[ე]ლი იგი ჩრდილოს, მცხეთელთა მოქალაქეთა, და წილით ჰხუდა ჩრდილოთა, მცხეთელთა, კუართი იგი უფლისაი“ და კუალად კვითხე წმინდა ნინო გულისხმობს სომეხ მიაფორს, რომლისგანაც შეიტყო კვარ-

ზემოთ დამოწმებულ პასაჟებში სივრცითი მარკერის იდეოლოგიზების მთავარ ლიტერატურულ საშუალებად გამოიყო კომენტარი (განმარტება, დაზუსტება), რომელშიც წარმოჩენილია ალქმის კონტექსტი (ბნელისა და ნათლის ანტინომია). იმ ახალ კულტურულ და რელიგიურ წესრიგში საორიენტაციოდ, რომელიც მე-4 საუკუნის ქართლში დადგა, აღნიშნული სემანტიკის დამაზუსტებელ კომენტარებს ქართველთა ცნობიერებაზე უნდა მოეხდინა გავლენა; ქრისტიანულ კონტექსტში კონკრეტული მხატვრული სახის (მოცემულ შემთხვევაში, სივრცითი მარკერის) იდეოლოგიზებას ქართველებისთვის ფასეულობითი ორიენტირის ფუნქცია უნდა შეესრულებინა: მათთვის ცალსახად ემპირიული (ამ შემთხვევაში, გეოგრაფიული) მოცემულობა კულტურული ღირებულების მატარებლად უნდა ქცეულიყო და მიეთითებინა წარმართობის სიბნელებზე, როგორც ქრისტიანობის მიღების შედეგად დაძლეულ წარსულზე.¹⁶

თის ისტორია – ც. კ., ვითარმედ: „სადაი არს ჩრდილოისა იგი ქუეყანაი, ანუ სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისაი“. მრქუა მე: „ჩრდილოისა ქუეყანაი სომხითისა მთელ არს, საწარმართოი ქუეყანაი, სახელმწიფოი ბერძენთა და უჟიკთაი“// პრქვა ჩრდილოი ქუეყანაი სომხითისა და მთიულეთისაი, და არს ფრიალ საწარმართოი, რამეთუ არს ქუეყანაი იგი სახელმწიფოი ბერძენთა და უჟიკთაი“ (იქვე, 112-113).

დამოწმებული ტექსტების მიხედვით, ქართლის სახელდება „ჩრდილოეთად“/ „ჩრდილოეთის ქვეყნად“ განპირობებული ჩანს გეოგრაფიული მდებარეობით. პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც, ქართლი ჩრდილოეთით მდებარეობს, ათვლის წერტილად, პირველ შემთხვევაში, საბერძნეთს, დანარჩენ შემთხვევაში კი – წმინდა ქალაქ იერუსალიმს უნდა ითვალისწინებდეს: საფიქრებელია, რომ ოთხივე ნარატორი (უცნობი ავტორი, მთავარეპისკოპოსი, წმინდა ნინო და სომეხი მიაფორი) უთითებს არა ქართლის სულიერ მდგომარეობას, არამედ – მის გეოგრაფიულ მდებარეობას, ერთი მხრივ, საბერძნეთის, ნინოს სამყოფლისა და მეორე მხრივ, იერუსალიმის, ქრისტეს კვართის პირვანდელი ადგილსამყოფლის, მიმართ. ამგვარ ვარაუდს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ დასახელებულ ციტატებში სივრცით მარკერს არ ახლავს სემანტიკის დამაზუსტებელი კომენტარი, ის არაა წარმოდგენილი ნათლისა და ბნელის ოპოზიციის კონტექსტში.

- 16 ახალმოცემულ ქართველთა მსოფლალქმაზე ზეგავლენის მოსახდენად ლოგოსზე ორიენტირებულ განმარტებით კომენტართან შედარებით, გაცილებით ეფექტური რიტორიკული საშუალება უნდა ყოფილიყო „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ პათოსზე ორიენტირებული აღწერა კერპთა მსხვერვის მასშტაბური სურათისა (შუა საუკუნეების ბიზანტიურ ხელოვნებაში აღწერის, როგორც მთავარი რიტორიკული ჟანრის, შესახებ იხ. Maguire 1981, 22-52); თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში პირველად ანსგარ ნიუნინგმა სცადა აღწერის ნარატოლოგიური კატეგორიის სისტემატიზება კონკრეტულ მახასიათებელთა მიხედვით (Wolf and Bernhart 2007, 91-116).

ჰეტეროხატი „ჩრდილოეთი“

რაც შეეხება კოლონიურ პერიოდში (მე-19 ს-ში) შექმნილ ქართულ პოეტურ ნაწარმოებებს, მათშიც „ჩრდილოეთი“ (ჩრდილოეთის ქვეყანა) იდეოლოგიზებული სივრცითი მარკერია.¹⁷ მაგრამ ამ პერიოდში ის უკვე არა ავტოხატს, არამედ ჰეტეროხატს წარმოადგენს და გამოხატავს კოლონიზატორ ქვეყანას.¹⁸ ჰეტეროხატად ის ყალიბდება ორი სტრატეგიის გამოყენებით: უარყოფითი სემანტიკის კლასემათა შექმნისა და ბინარული ოპოზიციის კონტექსტის ჩვენების გზით.

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების მაფორმირებელ მედიაში,¹⁹ კოლონიზებული

17 სივრცითი ტერმინების სემანტიზება მითოსურ მსოფლალქმაში ფუნდამენტური იდეოლოგიური კატეგორიების გათვალისწინებით და ამავე მოდელის გადმოღება ადრექრისტიანულ კულტურაში სისტემურად აქვს შესწავლილი ერნესტ კასირერს. კასირერის მიხედვით, მითოსურ-რელიგიურ (მისი ტერმინია – ც.კ.) მსოფლალქმაში *ჩრდილოეთი*, *სამხრეთი*, *დასავლეთი* და *აღმოსავლეთი* არაა წმინდა გეოგრაფიული ორიენტირები, შემეცნების ობიექტები; ესაა ფასეულობითი, საკრალურ-პროფანულის, ნათლისა და ბნელის ერთიან კონტექსტში არსებული მოცემულობა. საკუთრივ *ჩრდილოეთი* მითოსურ მსოფლალქმაში სიცვივს, ზამთარს, ქარსა და ომს უკავშირდება (Cassirer 1955, 87, 97-98). ამავე მნიშვნელობითაა წარმოდგენილი *ჩრდილოეთი* ძველ აღთქმაშიც. ქართულ ენაში კი ლექსიკურ დონეზე, *ჩრდილოეთის* ეტიმოლოგია პირდაპირ უკავშირდება ჩრდილს, სიბნელეს.

18 აღსანიშნავია, რომ „ჩრდილოეთის ქვეყანა“, როგორც სხვა/უცხო ქვეყნის სივრცითი მარკერი, შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ნარატივში საზარეთსაც აღნიშნავს: მე-8 საუკუნის „აბოს წამების“ მიხედვით, *ხოლო ნერსე, ლტოლვილი ქუეყანით თვისით, შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოისასა, სადა იგი არს სადგური და საბანაკეი ძეთა მაგოგისათა, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, სამინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან [...] მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქუეყანასა მას ჩრდილოისასა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტესითა ცხონდებიან უზრუნველად* (აბულაძე 1963, 58).

კონტექსტის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ დამოწმებულ ციტატაში სივრცითი მარკერი მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობითაა გამოყენებული და არ არის იდეოლოგიზებული. ამაზე მიუთითებს რამდენიმე დეტალი: ტექსტში ნაჩვენებია ქართლიდან აფხაზეთისკენ მიმავალი ერისთავის მარშრუტი (ხაზარეთი კი ამ გზაზე გეოგრაფიულად ქართლის ჩრდილოეთით მდებარეობს); ლექსიკურ ერთეულ „ჩრდილოეთის ქვეყანას“ არ ახლავს რაიმე ტიპის (მათ შორის, სიმბოლური სემანტიკის) განმარტებითი კომენტარი; ამასთან, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების წესი აღწერილია ობიექტური დამკვირვებლის/მგზავრის პოზიციიდან (ჰაგიოგრაფი ავტორი თან ახლდა ნერსე ერისთავს ამ მოგზაურობისას): აღნიშნულია, ერთი მხრივ, ხაზართა ველური ბუნება და მეორე მხრივ, ისიც, რომ ქრისტიანები აქ უსაფრთხოდ ცხოვრობენ. დასახელებული ორი ფაქტორის გათვალისწინებით (ხაზარეთი არაქრისტიანული ქვეყანაა, მაგრამ იქ თავისუფლად ცხოვრობენ ქრისტიანები), „აბოს წამების“ „ჩრდილოეთის ქვეყანა“ წარმოადგენს ერთგვარ ჰიბრიდულ სივრცეს ჰომო- და ჰეტეროგენულ სივრცეთა კონტექსტში.

19 პრეკოლონიური და კოლონიური პერიოდების ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური დისკურსის ფორმირების, ლიტერატურაში რუსულ-ქართული პოლი-

საქართველოს ნაციონალური ავტონატიის გვერდით, ჩამოყალიბდა ჰეტერონატიც, რომელშიც რუსეთის იმპერია იგულისხმებოდა. მის მხატვრულ მარკერთა შორის ყველაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა „ჩრდილოეთი“/„ჩრდილოეთის ქვეყანა“, რომელიც დასტურდება სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელ ავტორთა პოეზიაში.²⁰ ესენი არიან ბატონიშვილი ქალები (მარიამი, ქეთევანი და თეკლე), კლასიკოსი პოეტები: რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი და რეალისტი აკაკი წერეთელი. მათს პოეტურ მემკვიდრეობაში რუსეთის იმპერიის მეტაფორული სახე დაკონკრეტებულია უარყოფითი სემანტიკის მქონე სტიქიური მახასიათებლებით. ესაა, როგორც წესი, ჩრდილოეთიდან წამოსული დამაბნელებელი ღრუბელი და ძლიერი ქარი:

ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან/მძვინვარედ მქროლმან და დაუწყნარმან,/ ჩემნი მთიებნი ჰყო გარისგარად; რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა; დაფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან/მნათობთ არენი ბნელითა; ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი/აზიის მთიებთ დამბნელებელი; მსწრაფლად მპირდება ჩრდილოთ მგზავრობას, უცხოს, მწირს ადგილს გრძლად სადგურობას; რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება,/კრძალვით ითმინე სახმილთ გზნებანი (ასათიანი 1936, 215-216, 220, 222, 223, 236, 238-239).

დამოწმებულ ციტატებში, რომლებიც დაწერილია მე-19 საუკუნის დასაწყისში კოლონიზამდელი საქართველოს უკანასკნელი მეფის – ერეკლე მეორის (1720-1798) – ქალიშვილთა (მარიამის, ქეთევანისა და თეკლას) მიერ, ჩრდილოეთის, როგორც იდეოლოგიზებული მარკერის, სემანტიკა, მნიშვნელოვნად გაფართოებულია: ჩრდილოეთში მოიაზრება უცხო ადგილიც, ქარიც, ღრუბელიც. თვალსაჩინოა ის ტენდენცია, რომ ჩრდილოეთის რაგვარობა თითქმის ყველა შემთხვევაში აღწერილია, დაზუსტებულია. ამ თვალსაზრისით, ეპითეტები („საბავთო“²¹, „მძვინვარედ მქროლი“, დაუწყნარებელი, „აზიის მთიებთ დამბნელებელი“, „უცხო“, „მწირი“) იმავე ფუნქციას ასრულებს სივრცითი ლექსიკური ერთეულის იდეოლოგიზების პროცესში, რო-

ტიკური ურთიერთობის ასახვის მოდელებისა და ლექსიკურ ერთეულთა ტიპების შესახებ იხ. კილანავა 2013.

20 კოლონიური პერიოდის ქართულ პროზაულ ტექსტებში სივრცითი მარკერი „ჩრდილოეთის ქვეყანა“, ფაქტობრივად, არ ჩანს. მის ფარდ ლექსიკურ ერთეულად გამოყენებულია ან პირდაპირი სახელდება („რუსეთი“, როგორც ესაა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებსა“ და ალექსანდრე ყაზბეგის პროზაში), ან არაქრისტიანი ისტორიული მტრის მეტაფორული სახე (აკაკი წერეთლის პროზაში სპარსეთი).

21 „ბავთი“, სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, ბოროტ ამბავს ნიშნავს (ორბელიანი 1991, 90).

მელსაც – ნარატიული კომენტარი „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“:

ჩრდილოეთის კონკრეტულ მახასიათებელთა ამგვარი აქცენტირებით ბატონიშვილ ქალთა ლექსებში იქმნება უარყოფითი კლასემა – სტიქიური/მასშტაბური უბედურება, რომელიც რუსეთის იმპერიის ძალაუფლებასა და მის წინაშე საქართველოს უძღურებას უსვამს ხაზს. ყველა შემთხვევაში (უკანასკნელი ციტატის მიხედვით, იმპლიციტურად) „ჩრდილოეთი“ წარმოდგენილია ბნელ ძალად, რომელმაც გაიმარჯვა ნათელზე (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის ტრაგედია, ქვეყნის ანექსია). ეს ანტინომია ხაზგასმულია „მთიებისა“, ანუ ცისკრის ვარსკვლავისა და ჩრდილის ბინარული ოპოზიციით.

ჩრდილოეთის მხატვრულ სახეში ქარს/სუსხს/სიცივეს გამოკვეთს ნიკოლოზ ბარათაშვილიც: „უამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო / მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო; / მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული, / უდნობს **ყინულსა ჩრდილოეთსა**, განცეცხლებული“; „**ქარმან ჩრდილოსმან** ყველაზედ პირველ / გარდაუცვალა მათ გული ცხოველ“ (ბარათაშვილი 1972, 54, 80). სხვადასხვა პოეტური თხზულებიდან დამოწმებულ ციტატებში *ჩრდილოეთის სუსხი* და *ქართველთა შინაგანი ცეცხლი/ცოცხალი გული* ბინარულ ოპოზიციურ წყვილადაა წარმოდგენილი.²²

ჩრდილოეთის, როგორც უარყოფითი, უცხო, მიუღებელი სივრცის, მხატვრული სახე ახალ განზომილებას იძენს ანტირუსული პათოსით გამორჩეული ქართველი რეალისტი პოეტის – აკაკი წერეთლის – შემოქმედებაში. ლექსში „ნაძალადებ საქმროს“ სივრცითი მარკერი პერსონიფიცირებულ სახეს იღებს და მიმართვის ობიექტიც ხდება („დამეხსენი, ჩრდილოელო, / რა მაქვს შენთან საზიარო?“ (წერეთელი 1950, 153); გარდა ამისა, ტექსტში წარმოდგენილია ჩრდილოელი მოძალადის უარყოფითი მახასიათებლები, რომელთა შორის გამორჩეულია „მოშხამული, ცივი გული“ და გაყინული ტვინი [იქვე]. ამ ეპითეტთა საერთო კლასემად გვევლინება უემოციობა/უგრძობლობა, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ქორწინების ფენომენს. ლექსის მიხედვით, *ქორწინების* მეტაფორაში ორი სუვერენული ქვეყნის ნებაყოფლობითი კავშირი იგულისხმება; ამ ფონზე, *ჩრდილოელის* სახელდება *მოძალადე საქმროდ* რუსეთის იმპერიის, როგორც კოლონიზატორის ქვეყნის, ჰეტერონატს ახალი ასპექტით წარმოაჩენს.²³

22 მსგავსი (უარყოფითი) სემანტიკითაა დატვირთული ამავე ავტორის სხვა პოეტურ ნაწარმოებში *ჩრდილოეთის სივრცე*. ეს ნაჩვენებია ლექსის ადრესატის, გრიგოლ ორბელიანისადმი, მიმართული უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულით („კრულით“): „თუმც უცხო-უცხო თემად იარე, / მრავალი კარგი ჰნახე ამბავი, / მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?“ (იქვე, 27).

23 *ჩრდილოეთის* უარყოფითი სემანტიკა, ბიბლიის მიხედვით, განსაკუთრებით თე-

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში *ჩრდილოეთის [ქვეყნის]* მეტაფორულ სახეში აისახა არა მხოლოდ (და – არა იმდენად) რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ (რამდენადაც) კოლონიზატორი ქვეყნის ნაციონალური ხასიათი. ამ მიზნით მე-19 საუკუნის დასაწყისის, შუა პერიოდისა და დასასრულის ქართველი ავტორები პერმანენტულად ცდილობენ სივრცითი მარკერის იდეოლოგიზებას უარყოფითი კლასემის ცალკეულ ასპექტთა გამოკვეთისა და ბინარული ოპოზიციის ჩვენების გზით.

დასკვნა

მონარქიული საქართველოს ისტორიის ორი გარდამტეხი პერიოდის ქართულ მწერლობაში, როგორც ნაციონალური ცნობიერების მაფორმირებელ მედიაში, ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული (სივრცითი მარკერი) გამოყენებულ იქნა ავტო- და ჰეტეროხატების შესაქმნელად. გაანალიზებული ტექსტობრივი მონაცემების მიხედვით, ლიტერატურულ ნარატივებში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენათა შესახებ კულტურული წარმოდგენების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სივრცითი ლექსიკური ერთეულის იდეოლოგიზებამ. რელიგიურ და ნაციონალურ კონტექსტებში სივრცითი მარკერის იდეოლოგიზების პროცესი სხვადასხვა სტრატეგიით წარიმართა: ნარატიულ ტექსტში რამდენიმე მთხრობლის მიერ იმგვარი კომენტარის დართვით, რომელშიც ნაჩვენებია იყო ნათლისა და ბნელის ფუნდამენტური ბინარული ოპოზიცია, პოეზიაში კი იდეოლოგიზების მიზანს მოემსახურა უარყოფითი კლასემების შექმნა.

„ჩრდილოეთის ქვეყნის“ ნაციონალურ სტერეოტიპად ქცევა სამმა ფაქტორმა განაპირობა: გეოგრაფიულმა, ეტიმოლოგიურმა და ბიბლიურმა. გეოგრაფიულ ფაქტორში იგულისხმება, ერთი მხრივ, საქართველოს მდებარეობა ქრისტიანული სამყაროს ცენტრის/ცენტრების მიმართ და მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული მდებარეობა საქართველოს მიმართ. ეტიმოლოგიურ ფაქტორში იგულისხმება ის, რომ ქართულ ენაში *ჩრდილოეთი* ლექსიკურ დონეზე უკავშირდება *ჩრდილს*, მზის ნათლის მოკლებასა და სიბნელეს (შდრ.

მატიზებულია იერემიას წინასწარმეტყველებაში, რომელსაც, სხვა წინასწარმეტყველთა წიგნებისგან განსხვავებით, ეწოდება „გოდება“ ჩანს, აკაკის ზემოთ დამოწმებულ ლექსში ჩრდილოეთის უარყოფითი სემანტიკა ბიბლიური სიმბოლიკითაა დაკვალიანებული. ნაციონალური თვალსაზრისით ებრაული თემატიკა აკაკი წერეთლის მთარგმნელობით პრაქტიკაშიც აისახა: 1901 წელს მან ინტერპრეტირებულად თარგმნა ბაირონის ლექსი „გოდება ებრაელთა“, რომელშიც ბაბილონისა და იერუსალიმის ანტინომიაში ადვილად იკითხება რუსეთისა და საქართველოს მეტაფორული სახეები.

ჩრდილი – ჩრდილოეთი). დაბოლოს, რელიგიურ და ნაციონალურ კონტექსტებში ამ სივრცითი მარკერის იდეოლოგიზებისთვის გამოყენებული იქნა ბიბლიური პარადიგმა, რომელიც ჩრდილოეთს სიმბოლურად წარმოადგენდა როგორც სივრცეს, რომლიდანაც საფრთხეს და ბოროტება მოდის.²⁴

მონარქიული საქართველოს ისტორიის ორივე გარდამტეხ პერიოდში „ჩრდილოეთის ქვეყანას“ დაუკავშირდა უარყოფითი კონოტაცია: ქრისტიანული იდეოლოგიის კონტექსტში ეს გულისხმობს ქრისტიანობამდელი კოლექტიური წარსულის დეფინიციას, ხოლო ნაციონალიზმის კონტექსტში – კოლონიზატორი ქვეყნის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენის შექმნას.

როგორც მე-4 საუკუნის, ისე – მე-19 საუკუნის ნაციონალური ავტო- და ჰეტეროხატის ფორმირების მთავარი მიზანი უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენათა (საქართველოს გაქრისტიანება და რუსეთის იმპერიის კოლონიად ქცევა) სათანადოდ გააზრება, საზოგადოებისთვის ფასეულობითი ორიენტირების დასახვა იყო.²⁵

დამოწმებანი

აბულაძე, ილია, რედ. 1963. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

24 როგორც დასაწყისში აღინიშნა, ჩრდილოეთის უარყოფითი სემანტიკა უკვე მითოსურ მსოფლალქმაში დასტურდება, თუმცა, განხილულ ტექსტებში სივრცითი მარკერის იდეოლოგიზებისას აქცენტირებულია საკუთრივ ქრისტიანული პერსპექტივა.

25 აღსანიშნავია, რომ „ჩრდილოეთის ქვეყანა“ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაშიც გვხვდება, როგორც რუსეთის იმპერიის მარკერი, თუმცა, ლიტერატურული ნარატივიდან თანდათან პოლიტიკურ დისკურსში ინაცვლებს. კულტურული სივრცითი მარკერის ოფიციალური პოლიტიზების ერთგვარ (თავისებურ) დასაწყისად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1976 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის, ცნობილი სიტყვები მზის ჩრდილოეთიდან ამოსვლის თაობაზე. მას შემდეგ თანამედროვე ქართულ სინამდვილეში აღნიშნული სივრცითი ლექსიკური ერთეული მეტწილად პოლიტიკური დისკურსის ნაწილადაა ქცეული.

- ბეზარაშვილი, ქეთევან. 2004. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით. თბილისი: მეცნიერება.
- ალიბეგაშვილი, გიორგი. 2014. გეოგრაფიულ მხარეთა სახისმეტყველება, სამეცნიერო კრებულში ელიზბარ ჯაველიძე – 75 (რედ. აპ. სილაგაძე, მ. ჯიქია, ე. მაჩიტაძე), ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, 54-68. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.
- ასათიანი, ლევან. 1936. ძველი საქართველოს პოეტი ქალები: გამოკვლევა და ტექსტები (რედ. გ. თავზიშვილი). თბილისი: სსრ მეცნიერებათა აკადემია. საქ. ფილიალი.
- ბარათაშვილი, ნიკოლოზ. 1972. ლექსები, პოემა, წერილები (ივ. ლოლაშვილისა და აკ. გაწერელიას რედქციით). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ბედოშვილი, გურამ. 2013. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, II. (რედ. ა. არაბული, მ. სუხიშვილი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ბერძენიშვილი, დავით. 1990. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (მეორე გამოცემა). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი: მეცნიერება.
- გურამიშვილი, დავით. 1955. დავითიანი: თხზულებათა სრული კრებული (პ/მგ. რედაქტორი ალ. ბარამიძე). თბილისი: სახელგამი.
- დობორჯგინიძე, ნინო. 2012. ლინგვისტურ-ჰემენევტიკული მეტატექსტები. პრაქტიკული გრამატიკა და ჰემენევტიკა X-XVIII საუკუნეების ქართულ წყაროებში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- კილანავა, ცირა. 2013. ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, სადოქტორო ნაშრომი, URL: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1467.pdf>.
- ოთხმეზური, თამარ. 2011. კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- ორბელიანი, სულხან-საბა. 1991. *ლექსიკონი ქართული*, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი: მერანი.
- პატარიძე, ლელა. 2009. „პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს.-ის ქართულ ერთობაში“ „ქართლის ცხოვრების“ სამყარო: *სამეცნიერო სერია ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები*, ტ. I. თბილისი: კავკასიური სახლი.
- სირაძე, რევაზ (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი). 2008-2014. *წმინდა ნინო: სამეცნიერო კრებული*, ნაკვეთი I (სარედაქციო საბჭო: რევაზ სირაძე, ზაზა სხირტლაძე, გრივერ ფარულავა, მანანა ტუსკია, შემდგენელ-კოორდინატორი მანანა ტუსკია) თბილისი, არტანუჯი; ნაკვეთი II, თბილისი: მერიდიანი.
- ჩხარტიშვილი, მარიამ. 2018. *საქართველო III-V საუკუნეებში. ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია*. თბილისი: ნეკერი.
- ცხადაია, პაატა. 1999. *ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან*. წ. I. [რედ. ზ. ჭუმბურიძე]. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: ინტელექტი.
- წერეთელი, აკაკი. 1950. *ლექსები*, ტ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
- ჯავახიშვილი, ივანე. 1965. *ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის კათედრა, თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- Beller, Manfred and Leerssen Joseph Theodoor, eds. 2007. *Imagology: The Cultural Construction and Literary Representation of National Characters: a Critical Survey*. Amsterdam/New York: Rodopi.
- Cassirer, Ernst, 1955. *The Philosophy of Symbolic Forms, Volume 2: Mythical Thought* (Translated by Ralph Manheim). New Haven: Yale University Press.
- Herman, David, Manfred Jahn and Marie-Laure Ryan, eds. 2008. *Routledge Encyclopedia of Narrative Theory*. London and New York: Routledge.
- Maguire, Henry. 1981. *Art and Eloquence in Bizantium*, Princeton/New Jersey: Princeton University Press.
- Neuman, Birgit. 2010. “Grundzüge einer kulturhistorischen Imagologie: Nationale Selbst- und Fremdbilder in britischer Literatur und anderen Medien des 18. Jahrhunderts.” *KulturPoetik*, Bd. 10, H. 1. Vandenhoeck and Ruprecht. 1-24. URL: <http://www.jstor.org/stable/40621804>.
- Rapp, Stephen, Jr. 2003. *Studies in Medieval Georgian Historiography: Early*

- Texts and Eurasian Contexts*. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, Subsidia, 113. Louvain: In aedibus Peeters.
- Rapp, S. H. and Crego, P. C. 2006. *The Conversion of Kart'li: The Shatberdi Variant*, *Kek. Inst. S-1141*. Peeters Online Journals. *Le Museon* 119 (1-2), 169-226. Doi: 10.21.43/MUS.119.1. 2011772.
- Ricoeur, Paul. 1988 [1983]. *Zeit und Erzählung*. Bd.1. München: Fink.
- Wolf, Werner and Walter Bernhart, eds. 2007. *Description in Literature and Other Media*. Amsterdam/New York: Rodopi.

Tsira Kilanava
Ilia State University

Ideologizing Space in Georgian Literature: Religious and National Contexts of the “Northern Country”¹

Keywords: “Northern Country”, *auto and hetero-image*, *ideologizing*, “Kartlis Tskhovreba”, 19th-century Georgian poetry

Introduction

Literature, as a medium of public awareness, shows the modern socio-cultural and political situation not impartially but from a peculiar position.² Therefore, the literary images of “self” and “other”³ do not represent the objective reality, but convey ideological character. Whether or not they become national stereotypes depends on the frequency of usage and conventional semantics. That is why certain literary images often gain relevance- later servinn as an indicator of values.⁴ Accordingly, they play an important role in the formation and collapse of epochs of national identity.

In this regard, two epochs are distinguished in the history of the monarchy of Georgia: the 4th century, when Christianity was declared as the state religion,

1 The article was prepared within an individual winning project “Spatial Imagology in Georgian Literature” submitted to the “Research Grants for Young Scientists” call announced by the Shota Rustaveli Science Foundation of Georgia (YS15_1.2.6.2_103).

2 For the study of the relation between literature and outer reality, Paul Ricoeur’s three-level model is taken as the methodological basis (see Ricoeur 1988).

3 Binary oppositions are used as equal concepts in the article: self/others, auto and hetero-images in the literary imaginations.

4 The present complex issue is the subject of spatial study for imagology, which considers literature as the main form of representation of cultural imagery (Beller and Leerssen 2007). About the issues of directions of national stereotypes concerning outer reality represented within literary limits and the issue of sustainability of their conventional semantics, see. Neuman 2010.

and the 19th century, when the Russian Empire annexed the Kingdom of Kartli.⁵ Literary works of the given historical periods are intended to [re]form public consciousness; hence they convey an ideological character. On the verbal level, they depict national and cultural representations of “self” and “other”/ “foreign.” Moreover, the literary texts of the given period use one and the same spatial lexical item, which turned out to have a wide semantic range, from auto to hetero-image.

Considering the given circumstances, the article attempts to study the foundations for ideologizing space and verbal strategies in the Georgian literary narratives of the epochs, marking a difference in the chronological and socio-cultural contexts, thus have the same determination (i.e. bearing an ideological character).

Auto-Image “Northern Country”

In the history of medieval Georgia, *Kartlis Tskhovreba* (A History of Georgia) represents a major medium in the formation of the national identity⁶ Moktsevai Kartlisai (Conversion of Georgia)⁷ is presented at the beginning of

5 It was the first occasion in the history of Georgia that the oppressor had the same religion; consequently, the existing national identity model needed to undergo major transformations. Apparently, Georgian literature had a significant role in this process.

6 Throughout the two century-long periods, many views have been expressed on the content of various parts of A History of Georgia (*Kartlis Tskhovreba*); ideas that questioned the predominant motives for writing the work; authorship and dating. The most recent monographic study on the dating issue was done by Stephen Rapp. The author attempts to analyze the structure of the work and the dating issues, and largely highlights the Georgian political and cultural self-identification process that picked up pace in the context of Iranian and Byzantine influences (Rapp 2003).

